

ნეკროლოგი OBITUARY

ვინფრიდ ბოედერი (1937-2023)



2023 წლის 22 დეკემბერს გარდაიცვალა ვინფრიდ ბოედერი, ცნობილი გერმანელი ქართველოლოგი, ოლდენბურგის უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, საქართველოს დიდი მეგობარი და გულშემატკივარი.

ვინფრიდ ბოედერის მდიდარი და მრავალფეროვანი ლინგვისტური მემკვიდრეობა საერთაშორისო პროფესიულ წრეებში ჯეროვნადაა დაფასებული. ჩვენ, ქართველი ენათმეცნიერები, განსაკუთრებულ (რომ არა ვთქვათ მიკერძოებულ) მადლიერებას გამოვხატავთ ბატონი ვინფრიდის მიმართ ქართველოლოგიურ კვლევაში შეტანილი უნიკალური წვლილის გამო (იხ. ნაშრომების ბიბლიოგრაფია <https://kadmos.iliauni.edu.ge/index.php/kadmos/article/view/118/107>).

გასული საუკუნის 60-იანი წლების მიწურულიდან სიცოცხლის ბოლომდე ვინფრიდ ბოედერი ინტენსიურად იკვლევდა ქართულის, ზოგადად, ქართველოლოგიის უმნიშვნელოვანეს პრობლემემატიკას. მან ახლებური ხედვითა და ღრმა თეორიული გააზრებით იკვლია, დააზუსტა, გაამდიდრა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საერთაშორისო სამეცნიერო დისკუსიის საგნად აქცია ქართველურ ენათა ლინგვისტური ანალიზის არაერთი საკითხი, მათ შორის, ქართული და ქართველური ენების სტრუქტურა და ისტორია, ძველი და ახალი ქართული ენის, ცალკეული დიალექტების ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი და ტექსტის ლინგვისტიკა.

ვინფრიდ ბოედერი პირველია, ვინც ეროვნული იდენტობის თეორიული ჩარჩოს ფარგლებში იკვლია ქართული ენის ისტორიული სოციოლინგვისტიკის საკითხები და ნაშრომთა მთელი ციკლი მიუძღვნა ქართულის, როგორც „ჩუენი ნათესავის“ (ლენტი მროველი) იდენტობის მაკონსტრუირებელი „მთავარი ელემენტის“ (ვ. ბოედერი), ეროვნული ენის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ასპექტებს, განსაკუთრებით, ენის როლს ერის თვითცნობიერების ჩამოყალიბების პროცესში.

გარდა წმინდა ლინგვისტური და სოციოლინგვისტური საკითხებისა (ფონეტიკა-ფონოლოგია, გრაფოლოგია, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურა, ტექსტის ლინგვისტიკა, ენის ისტორია, დიალექტოლოგია, დამოკიდებულება შმობლიური/სახელმწიფოებრივი ენის მიმართ და ა.შ.), იგი სიღრმისეულად იკვლევდა ფოლკლორულ ტექსტებს, კერძოდ, ქართულ ანდაზებს და სვანურ ზეპირსიტყვიერებას.

ბატონი ვინფრიდის სახელს უკავშირდება ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის უმნიშვნელოვანესი ნაშრომების თარგმნა და დასავლურ სამეცნიერო წრეებში პოპულარიზაცია. მისი თარგმანებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის წიგნის: „სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ გერმანული თარგმანი, რომელიც 1982 წელს გამოიცა ტუბინგენში.

ქართული ენათმეცნიერების საერთაშორისო აღიარებას დიდად შეუწყო ხელი ვინფრიდ ბოედერის კიდევ ერთმა ინიციატივამ: ფრანგულ გამოცემაში: „Bedi Kartlisa. Revue des Études Georgiennes et Caucasiennes“ იგი წლების განმავლობაში ბეჭდავდა ვრცელ რეცენზიებს ქართული/ქართველური საენათმეცნიერო ლიტერატურის შესახებ; პარალელურად ბატონი ვინფრიდი ასრულებდა ძალიან შრომატევად ბიბლიოგრაფიულ საქმიანობას და ცნობილი საერთაშორისო სამეცნიერო გამომცემლობის, BRILL-ის ლინგვისტური ბიბლიოგრაფიის სერიაში აქვეყნებდა ქართული საენათმეცნიერო ლიტერატურის ვრცელ ანოტაციებს (იხ. <https://bibliographies.brill.com/LBO/>). დანანებით უნდა ვთქვათ, რომ ეს არის ერთადერთი, ყველაზე სანდო, დასავლური სტანდარტებით შედგენილი ქართული/ქართველური საენათმეცნიერო ბიბლიოგრაფია.

უკანასკნელ წლებში ვინფრიდ ბოედერი აკადემიკოს ავთანდილ არაბულთან ერთად ინტენსიურად მუშაობდა ქართულში, კერძოდ, ხევსურულ დიალექტში რთულფუძიანი სიტყვების წარმოებისა და მათი ლექსიკურ-სემანტიკური, ფონეტიკურ-მორფოლოგიური თუ სინტაგმატური პრობლემატიკის კვლევაზე. ნაშრომის ქართული ვერსია ბატონი ვინფრიდის გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე დაი-

ბეჭდა (ვინფრიდ ბოედერი, ავთანდილ არაბული, „სინტაქსურ კოორდინაციასა და ზმნურ სიტყვაწარმოებას შორის. ზმნური დვანდვა ხევსურულში“).

ბატონი ვინფრიდისა და მისი მეუღლის, ქალბატონი დორის ბოედერის სახლი ოლდენბურგში ნამდვილი კვლევითი ცენტრი იყო უმდიდრესი ქართველოლოგიური და ზოგადად, საენათმეცნიერო ბიბლიოთეკით. ეს სახლი წლების განმავლობაში გულლიად მასპინძლობდა კავკასიოლოგიის საერთაშორისო ფორუმს: Kaukasische Sprachprobleme, რომელიც ქართველური და კავკასიური ენების მკვლევართა შეხვედრის ადგილად და სამეცნიერო ფორუმად იქცა. ბატონი ვინფრიდის რედაქტორობით 2003 წელს გერმანიაში გამოიცა ამ ფორუმზე წაკითხული მოხსენებების კრებული. ვინფრიდ ბოედერის ანდერძის თანახმად, ამ ბიბლიოთეკის ქართულენოვანი წიგნები გადაეცა იენის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიურ განყოფილებას, ხოლო ძირითადი ნაწილი, უმდიდრესი სამეცნიერო ლიტერატურა უცხოურ ენებზე – საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას.

ბატონმა ვინფრიდმა 2021 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გადმოსცა თავისი ქართველოლოგიური არქივის უნიკალური მასალა: აკაკი შანიძისა და ვინფრიდ ბოედერის მიმოწერა (გამოიცემა 2024 წელს).

ქართველურ ენათა შესანიშნავი მკვლევრის სახელი არაერთ საქველმოქმედო ინიციატივას უკავშირდება. 1990-იანი წლებიდან ბატონმა ვინფრიდმა და მისმა მეუღლემ, ქალბატონმა დორის ბოედერმა, თავიანთ მეგობრებთან ერთად დაამკვიდრეს არაჩვეულებრივი ტრადიცია: ისინი აგროვებდნენ თანხას თითოეული მეგობრის დაბადების დღისთვის და საჩუქრის მაგივრად აგზავნიდნენ საქართველოში „კარიტასის“ ფონდში ყველაზე შეჭირვებული ადამიანების დასახმარებლად. ქალბატონი დორისისა და ბატონი ვინფრიდი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ საქართველოში ლეიკემიით დაავადებული ბავშვების მიმართ და ერთ-ერთი საერთაშორისო ფონდის მეშვეობით ეხმარებოდნენ მათ.

ბატონი ვინფრიდის უკანასკნელი სურვილი, უფრო ზუსტად მისი ანდერძი სწორედ ამ ბავშვებზე ზრუნვა იყო. მისი გარდაცვალების მეორე დღეს გერმანიის ქალაქ ოლდენბურგის პრესაში ბატონი ვინფრიდის მეუღლემ და მისმა მეგობრებმა გამოაქვეყნეს ნეკროლოგი, რომელშიც საქართველოს გამორჩეული მეგობრის, არაჩვეულებრივი მოქალაქის, ქართველოლოგისა და ენათმეცნიერის, ბატონი ვინფრიდ ბოედერის უკანასკნელი სურვილია გაცხადებული:

„ჩვენგან წავიდა შეუდარებელი ადამიანი, პროფესორი ვინფრიდ ბოედერი. მისი სამეცნიერო ცხოვრება ეკუთვნოდა კლასიკურ ენებს, ქართულ ენას და ადამიანებს საქართველოდან, რომლებიც მის სამეცნიერო საქმიანობას დიდად აფასებდნენ.

ჩაფიქრებული ყვავილების ნაცვლად გთხოვთ შემოწირულობას საქართველოში სიმსივნით დაავადებული ბავშვებისთვის.

მეგობრებისა და ახლობლების სახელით დორის ბოედერი“

ბატონი ვინფრიდის უცხოელი და ქართველი მეგობრების უკანასკნელი საჩუქარი საქართველოში ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა საერთაშორისო ფონდს გადაეცა.